ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 372 შაბათი, 14 იანვარი 1906 წ. გაზეთის № 2979

შობის წინა დღეს

(დასასრული *)

ფეხ აკრეფითვე მივიდა კარებთან, ნელა მიიხურა და საჩქაროდ გავარდა დერეფნიდან ქუჩაში.

— სანდრო!—ჩაიჩურჩულა აკანკალებულის ხმით და მიაწყდა გულზედ ახალგაზრდა ყმაწვილს, რომელმაც მძლავრის მკლავებით თითქმის აიტაცა ზევით და იქვე კიბეს ამოეფარა.

დერეფანში ბნელოდა და ისე შეეძლო კაცს ჩაევლო, რომ კიბის ქვეშ შეფარებული შეყვარებულნი ვერც-კი შეემჩნია. როდესაც ქეთემ გული მოიბრუნა, გაეშვებინა მკლავებიდან, ნაზად მიეყრდნო მკერდზედ და ჰკითხა საყვედურით:

— სად იყავ, სანდრო, ამდენ ხანს? გული გადამელია ლოდინში: ვაი თუ არ მოვიდეს, ვაი თუ ასე, ვაი თუ ისემეთქი, და კინაღამ გული გამისქდა. რა არ ვიფიქრე...

— არა გრცხვენია, ქეთე, რას ამბობ! აბა სად დამიდგებოდა გული, მაგრამ რა ვქნა, თავ გადაგლეჯილი დავრ-

ქეთოს ცქრიალა სახემ ეხლა-კი ნაღვლიანი და მზრუნველი გამომეტყველება მიიღო.

— ჰო მართლა, რა ჰქენი, ვერაფერს გახდი? სანდრო, უნდა მეთქვა, მაგრამ რომ დაგინახე, სიხარულით სულ დამავიწყდა: ამ დილით დედა და მამა ჩუმად ჩურჩულებდნენ, ყური წავკარ; მამას გადაჰკიდებია ვიღაცა მედუქნე, გინდა თუ არა შენი ქალი უნდა შევირთო, შენი ქრთამი არ მინდა და არც სხვა რამეო... სანდრო! იცოდე, თუ იგრე წავიდა საქმე, თავს არ ვიცოცხლებ...—ქეთოს ტირილი მოუვიდა.

— ვინა, გიორგა? აი მაშინ მოკვდეს სანდრუა, როცა მე იმან საცოლე წამართვას, მაშინ რაღათ მინდა თავი ცოცხალი? ე, ნეტავი მაგაზედ მეტი მეტოქე არ გამომიჩნდეს!.. შენ ჯავრი ნუ გაქვს, აგერა ერთი ცოტა საქმე გავიჩინო, თუ ღმერთმა ჰქმნა, და...

— როგორ, სადა? არის რაიმე ადგილი?—აღარ დააცადა ქეთომ.

— ჯერ არ მინდოდა მეთქო, მაგრამ...

— მე? მე არ მეტყვი?—გაუკვირდა ქეთოს.



ნიფა.—სურ. კელლერისა.

ბივარ, საქმე ვერაფერი მიშოვია, აგერა შობაც თენდება და, ვინ იცის, გათხოვება არ დაგიპირონ! რა უნდა ვქნა ესეთმა ჟვარამ მაშინ?.

— სხვა არა არის რა, ან-კი სად იქნება ადგილი: დღეს ახალს კი არა, ძველების ადგილებიც უნდათ შეამცირონ, ისეთი დრო დაუდგა ყველას. გადავწყვიტე ერთი საქმე, თუ იქაც ბედმა არ მიმტყუნა.

*) იხ. „დამატება“, № 871.

ბრძოლა მოსკოვში. — სადგურის ქუჩა აკვარიუმთან.



ბრძოლა მოსკოვში. — ბარიკადა ნოვობოჟედომსკის ვიწრო ქუჩაში

— რა? — ჰკითხა ქეთომ.

— ახალი საქმეა, ხომ იცი, ახალი მალიცია რომ დგება, ესე იგი ქალაქის დამცველები, ზოგგან ეხლა უკვე არის რაზმები. აი აქ გადავსწყვიტე შესვლა, თუ მიმიღეს. ისეთი ვინმე უნდა წარვადგინო, რომ ენდობოდნენ და ჩემ კარგ ყოფა-ქცევაში დაარწმუნოს.

— ვაი მეეე, მეშინიან სანდრო!

— რისა?

— ვინ იცის, ქაა, რა უბედურება შეემთხვეს მტერსა და ავსა... რომ სადმე მოგკლან?

ყმაწვილს გაეცინა.

— არა, ქეთე, ეგრე ნუ გგონია: რამდენი მოხდა, რომ კაცი სახლში იჯდა მოსვენებით, მაგრამ სხვისთვის დაცდილმა ცხელმა ტყვიამ ფანჯრები შელეწა და წუთის სოფელს გამოასალმა, და ბრძოლის ველზე-კი პატიოსანი მებრძოლი გადარჩა მტრის ტყვიას. თუ ტყვიისაგან სასიკვდილო ვარ, სახლში მომნახავს, თუ არა, — აქაც არა მიშავს-რა. ესეც არ იყოს, საჭიროების დროს ხომ იძულებულნი ვიქმნებით გარედ გამოვიდეთ. მაშინაც ხომ სარდაფში ვერ ჩავძვრები და შემდეგ სხვისგან მოპოებულ სიმშვიდეში ვერ ვიცხოვრებ? ეხლა კაცი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს, ღარიბი ვარ, მაგრამ იარაღი მაინც მაქვს... ეე, მახლას, მაგაზედ ფიქრს თავი დაანებე, ნეტავი-კი შევიდე და!...

— შემდეგ? — შეეკითხა ქეთე მონაზებულის ხმით და ლოყაზედ გაცივებული ხელი მოუსვა.

— შემდეგ... შემდეგ, ჯვარს დავიწერთ და მოვრჩებით ამ გულის კანკალით ერთმანეთის ლოდინს. ცალკე დავიქირავებ ოთახს და ვიცხოვრებთ ჩვენთვის, ჩემო მერცხალავ.

ქეთეს ნეტარებით გული გადაეშალა, ძარღვებში რაღაც თბილად დაუარა, თვალები ოღნავ მიეტუტა და მკერდზედ თავი დაანდო. ცოტა ხანს გარინდული იყო, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, მერე თავი ასწია.

— როდის შემოუთვლი მამას?

— რა შემოთვლა მინდა: საქმე თუ კარგად წავიდა, ახალ წელიწადს ავდგები და მოვა

გიგო ვაჭრობდა გიგომ გადმოაწყობინა შაქარი, ჩაი, რაც უქმეებში მოუნდებოდა; რამდენიმე ფორთოხალი, კანფეტები და სხვა წვრილმანი ბავშვებისთვის, ამოიღო ჯიბიდან დიდი წითელი ხელსახოცი, გამოჰკრა შიგ ნავაჭრი, მედუქნეს თუთხმეტ მანეთიანი დაახურდავებინა და გამოვიდა. აქვე შეუხვია ყასაბთან და ერთი „დავიჩინებული“ ღორის ფეხი იყიდა, წამოვიდა და მოედანზედ მიიარ-მოიარა.

— დასწყევლოს ღმერთმა, — ჩაილაპარაკა: — წელს საშობაო ხეებიც აღარ არის, ყველაფრად გამოიცვალა დრო, ერთ შტოს მაინც ვიშოვიდე ბავშვებისთვის!

მივიდა მოედნის ერთ კუთხეში, სადაც ნაძვის ხეები ეწყო, ამოარჩია ერთი პატარა ლამაზი ხე და წავიდა შინისკენ. ორივე ხელი გაკავებული ჰქონდა და ხეს ძლივს მიათრევდა. პატარა გზაც უნდა გაევლო და იქვე იყო იმისი სახლიც.

სწორედ ამ დროს გამოვარდა გულ ატოკებული და თავ დავიწყებული სანდრო გიგოს დერეფნიდან. სინსილა ცივი ქარი რომ მოჰხვდა, თავ დავიწყებიდან გამოერკვა, გახურებულ შუბლზე ხელი გადისვა და შეუდგა პატარა აღმართს. ბიძისას მიდიოდა, სადაც ძაღლ-უმადური და დამადლებული ლუკმა ჰქონდა. სანდრო ობოლი იყო, დედ-მამა არ ახსოვდა და გაეზარდა ბიძას. არაფერ ხელობაში არ მიეცათ. ცოტა რომ წამოიზარდა, მამამ მდიდარ კაცს დაუყენა მოსამსახურედ, იმათსა წერა-კითხვა ისწავლა, შემდეგ ხან სოფელში მიდიოდა ნათესავებთან, ხან ბიძას ეხმარებოდა პატარა საწვრილმალო დუქანში. მაგრამ ბიძა გამუდმებით არ ამუშავებდა: „შემდეგ წილში შემომივაო“, სიღარიბემ, ობლობამ და სხვის ხელში შემყურეობამ დაღვრემილი და გულჩათხრობილი გახადა. საქმეს გამუდმებით ეძებდა.. როგორც იყო, ერთხელ გაუღიმა ბედმა. ერთ გაზეთის რედაქციაში იშოვა დამტარებლის ადგილი. ამ შემთხვევამ ცოტათი ხელი შეუწყო, ტანთ ჩაიცო. წელში გაიმართა და ტოლ-ამხანაგებში გაერია. გაზეთების კითხვა დაიწყო, ცხოვრებას [illegible] მოძრაობას ყურადღება მიაქცია, ცოტათი გავითარდა და თითქოს სრულებით გამოიცვალა. დიდხანს აღარ დასცლია ეს ბედნიერება და დამოუკიდებელი ცხოვრება, ის გაზეთი დაიკეტა... სანდრო დარჩა ისევ უადგილოდ და ეხლაც ბიძას შეჰყურებდა...

ნავაჭრით დატვირთულმა გიგომ ის იყო თავის ქუჩაში შეუხვია, რომ უცნობმა ყაბალახიანმა კაცმა ხელი სტაცა და შეაჩერა.

— ძმობილო! — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ უთხრა უცნობმა, — ხმა არ ამოიღო, ისე მოიტა ფული!

— სადა მაქვს ფული...

გიგო კანკალმა აიტანა და უთხრა:

— სუუ, კრინტი! — წელან თხუთმეტი მანეთი დაახურდავე, კიდევ გექნება, მოიტა თორემ ხომ ხედავ? დღეს ქათმის სიკვდილი და კაცის ერთად ფასდება, ხომ იცი! და ნაბდის ქვეშ რევორველმა გაიკრიალა.

გიგოს ძარღვებში სისხლი გაეყინა და ჭირის ოფლმა დაასხა.

— მოიტა! — და უცნობი საყელოში წვდა.

გიგომ, რაც ძალი ჰქონდა, დაიყვირა:

— მიშველეთ, მომკლაა... — ველარ დაათავა, რევორველმა დაიგრიალა და გიგო თავდაღმა დაეცა ქვა-ფენილზე, უცნობი მსწრაფლად დასწვდა, ჯიბეში ხელი ჩაკრა და ნაბად შემოხვეული უკანვე გატრიალდა,, ზევით დუქნებთან აირბინა და ყვირილი მორთო:

— გვიშველეთ, უშველეთ. . ხალხს სწყვეტენ, სომხებს დაერივნენ, აგერ ერთი მოჰკლეს დუქნებს იკლებენ! — ასე ყვიროდა და გარბოდა, ბოლოს ერთ ვიწრო ქუჩაში შეირბინა და მიიმალა.

გიგომ ერთხელ კიდევ შეღრიალა და სული განუტევა.

ამ ხმაურობაზედ ერთი ალიაქოთი ასტყდა მოედანზედ დაირახრახა დუქნების დარაბებმა და ერთ წუთში ყველა ფერი ჩაიკეტა.

როდესაც აღმართში მიმავალმა სანდრომ ყვირილი და სროლა გაიგონა, რაც ძალი ჰქონდა, რევოლვერ ამოღებული გაქანდა მისაშველებლად. გზაზედ რაღაცას წამოედო დაბორძიკდა. ეს გიგოს შობის ხე იყო. სანდრო შეჩერდა და გაშტერდა: უსულო გვამები ეგდო. სანდრომ ვერც-კი მოასწრო აზრის მოკრეფა, რომ ის ადგილი ხალხით გაივსო. გაჩნდნენ პოლიციელებიც, სანთელი გაანათეს და ცხედარი დაინახეს. ხალხი ყვიროდა:

დაიჭირეთ კაცის მკვლელი, პროვოკატორი ხალხის ამრევი და მკვლელი!

სანდროს რევოლველი ხელში ეჭირა. სინათლეზე გაარჩია გიგოს გვამი. ჯერ დაკარგული და არეული ერთ ადგილას იდგა. ათასი თვალი მისჩერებოდა, ენა არ ემორჩილებოდა, რომ სიტყვა ეთქვა, მაგრამ თავის გასამართლებელი საბუთი მაინც არა ჰქონდა.

მალე სხვებმაც იცნეს გიგო და სახლში წაასვენეს, გონება დაკარგული სანდრო-კი შეიპყრეს და წაიყვანეს.

გავიდა სამი-ოთხი საათი. გიგოს ოთახს კვლავ ანათებდა მკრთალი თაფლის სანთელი. კუთხიდან კაკეს გმინვა გამოისმოდა, ბავშვები ტიროდნენ, მეზობლები შემოდიოდნენ და ნუგეშს აძლევდნენ. ფერ-დაკარგული და თვალებ დასიებული ქეთე მამის კუბოს ადგა თავს და ქვითინებდა. დერეფანში ხშირად გადიოდა და სანდროს ელოდებოდა. სანდრო კი ამ დროს ბნელ ნესტიან ოთახში იჯდა, მწარეთ დაღვრემილი და ფიქრში წასული

მ. გარიყული.

დანგრეული ყორე

(თარგმანი).

ბნელს და უდაბურს ჩრდილოეთში, სად ქარიშხალი, თოვლი და ყინვა დაუნდობარის, მწვავე სუსხით ყოველ სულდგმულს ხიფათში აგდებს, სადაც ბებერნი ფიჭვნი და ნაძვნი, ზამთრის სუდარით გადათოშილნი, მხოლოდ ხანდისხან თვალს უსწორებენ გაზაფხულის პირმცინარ მზეს, — იქ ოდესღაც, უსაზღვრო ზღვაზე, სჩანდა დიდი-დიდი, ადამიანის ხელით ამართული ყორე...

მედიდურად უღიმოდა იგი შფოთიანს ზღვაზე მრისხანე ტალღებს... მოსჩანდა ბუმბერაზი, შავი...

ზღვის ტალღები, მედგარი. თავისუფალი ტალღები, ეხეთქებოდნენ ურჩს, მათ წინაშე უსირცხვილოდ წამოგრაგნილ ყორეს, ამაყად დენას რომ უშლიდა, — და დაუსრულებელი ბრძოლა არა თავდებოდა.

დიდხანს ებრძოდნენ თავხედ კლდეს თავისუფალი, ძლიერი ტალღები, სანამ იმათმა ძლიერმა ძალამ ამაყი ყორე არ დაანგრია...

გაზაფხულზე, მაისის დილას, როს დიადსა ზღვას დადებულ მზის ბრწყინვალე სხივი გადასარკავს ხოლმე,—ტალღათა სროლა თვალ-მარგალიტზე უფრო ბრწყინავს, თავს დასტრიალებს უსივრცო ზღვასა და დაუსრულებელს ბრძოლას ყორესთან უმღერს ოცნებით...

—

როგორც ცის ფრინველნი, თავისუფლად ქანაობდნენ ზღვის ტალღანი. ქარი ნანას უმღერდა და ისინიც განუსაზღვრელ სიხარულით მიჰქანაობდნენ ნისლიანს სივრცეში შორს, შორს...

მაგრამ ბნელეთის მოტრფიალემ, ბოროტმა სულმა, თავისუფლების წართმევა მოინდომა, რომ ცელქ ტალღებს ამაყად არ ეტრიალნათ უძირო ზღვისა სპეტაკ სივრცეზე დ ბრწყინვალე მზისთვის, ლაჟვარდ ცისათვის ალერსით აღარ ეცინათ...

ბნელმა სულმა მორჩილი ყმები გაგზავნა...

ბატონის ნების გარდაუვალნი საქმეს შეუდგნენ: მიწის სიღრმიდან ლოდებს იღებდნენ და ზღვის უფსკრულში ტალღებში ჰყრიდნენ.

ზღვა აღელდა.

ძალა დაკარგული საფთხური.

ახლად შეიარაღებული მამაცი დარაჯი.

ტკბილად შეჰყურებენ ტალღები ამ სურათს, ლოდებს რომ ჰყრიან ზღვის უფსკრულში განუწყვეტელად, დაუნდობლად... დახტიან სიცელქით, ხარხარებენ, ფრინავენ სპეტაკ სივრცეზე და სიყვარულით ეალერსებიან უგულო შავ ქვებს...

თან დუდუნებენ ზღვისა ტალღები:

„საქმეც ეგ არი! მიწის სიღრმიდან დაღვრემილები გვესტუმრნენ ქვები! თავისუფლების სიმღერით დაუხვდით, ძმურის ალერსით შივესალმეთ, აწ მშობელს ზღვაში მათთან ერთად ვიცელქ-ვიხტუნოთ, მათთან ერთად მარად ვადიდოთ თავისუფლება, ქვეყნის სინათლე.“

მხიარულობენ ნორჩი ტალღები...

მხოლოდ გრიგალი თავზე დაჰყივის ახალსა სტუმრებს, კაეშნიანი დაჰკივის ქვებსა...

ქვები ლოდებისულ სცვივა... ეწებება ერთიმეორეს... ამაყ კედლებად იმართებიან, ავიწროვებენ ზღვის ცელქსა ტალღებს...

შეძრწუნდნენ ტალღები...

შიშით შეჰყურებენ ბნელს ქვებს: ეს პირველად შეუკრეს მათ გზა, პირველად შეჰბოჭეს მათი თავისუფლება...

გულ-მკერდით ეცნენ ტალღები კლდესა და კვნესით ისევ უკან გაბრუნდნენ... ჯოჯოხეთივით კლდე ცივი არის და მიუვალი.

ზღვა შეძრწუნდა.

პირ-ქუში ტალღები ზედ დაჰქროლავენ. „ღალატი! ღალატი!—ჰყვირიან.—ჩვენ როგორც ამხანაგები—ისე მივიღეთ... თავისუფლება, თავისუფლება მოგვპარეს!“

ჰკვნესის ქარი, ჰქუხს და ბობოქრობს გრიგალი:

„კლდენო, მრისხანე კლდენო! ოდესღაც თქვენც თავისუფალნი იყავით, ოდესღაც თქვენც თავისუფლები სუნთქავდით... რატომ წაართვით შვილებსა იგი?“

წარბი შეიკრა მრისხანე ყორემ.

„ჩემი საქმე არ არის...“—გაისმა უცბად იმის პასუხი... და საოცნებოდ ჩამოეკიდა ზღვაზე უსულო ხროვა...

დაიძრა ქარი. სტვენა—ტირილი მორთო გრიგალმა. უშაბიან ტალღებ[illegible], [illegible] ამბავს ატყობინებენ:

„ტალღანო! საბრალო ტალღანო! დაგვეკარგა, თავისუფლება! ამის შემდეგ ჩვენ მონები ვართ...“

მ. კინწურაშვილი.

(დასასრული იქნება)

აფრიკაში ევროპიელების კოლონიებში კაცის მჭამლები სცხოვრობენ, რომელთაც აღეკრძალათ კაცი-ჭამიობა, ამისათვის ესენი რუსეთისაკენ გამოემგზავრნენ, რადგან აქ უხვადაა ამგვარი „სანოვაგე.“

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი